ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6838311

ნომერი: AR11008431

თარიღი : 27.12.2023

გაცემის თარიღი : 11.01.2024

გაცნობის თარიღი : 11.01.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბააზოვი (ყოფილი შუშინის ქუჩა), N 19 , შუშინის ქუჩა N19-ის მიმდებარე ტერიტორია, მირზა შაფის ქუჩა N12ა ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 12ა-ს მიმდ. ; ქალაქი თბილისი , მირზა- შაფის ქუჩა ; ქალაქი თბილისი , გერცელ ბააზოვის ქუჩა, N13-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შუშინის , N 11-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჟუჟუნაშვილი პ/ნ 01030002628
- თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 88

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები
  - სასტუმრო

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს

სივრცის დაგეგმარების, არქიეტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2023 წლის 27 დეკემბრის AR11008431 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ბააზოვის (ყოფ. შუშინის ქუჩა) N19, შუშინის ქ. N19-ის მიმდებარე ტერიტორია, მირზა შაფის ქ. N12ა; მირზა შაფის ქ. N12ა-ს მიმდებარედ; მირზა-შაფის ქუჩა; გერცელ-ბააზოვის ქ. N13-ის მიმდებარედ; შუშინის ქ. N11-ის მიმდებარედ (ს/კ N01.18.04.018.094) სასტუმროს განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1....არსებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) ტოპოგრაფიული გეგმა, მასშტაბი 1:500 -> ....ტოპოგრაფიული გეგმის pdf ფაილი :

- საჯარო რეესტრის მონაცემებით მიწის ნაკვეთები გაერთიანებულია, წარმოდგენილი იქნეს განახლებული ტოპოგეგმა;

2. ვინაიდან შეცვლილია მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი, საზღვრების კონფიგურაცია და ფართობი, წარმოდგენილი იქნეს განახლებული სპეციალური (ზონალური) შეთანხმება;

3. არ არის წარმოდგენილი ესკიზური პროექტი; გაითვალისწინეთ, რომ ფოტომონტაჟები წარმოდგენილი უნდა იყოს რეალურ განაშენიანებაში ჩვენებით, მასალის, ზომების, ნიშნულების ჩვენებით; ასევე ესკიზური პროექტში გათვალისწინებული იქნეს უკანა ეზო;

4. დამატებით წარმოდგენილ იქნას საპროექტო და მომიჯნავე შენობა-ნაგებობის ფასადების ესკიზური განშლები (მომიჯნავე შენობების ფასადები შესაძლებელია დატანილ იქნას მხოლოდ კონტურების სახით) , რომელზეც დატანილი იქნება აბსოლიტური ნიშნულები როგორც ყველაზე დაბალ, ასევე ყველაზე მაღალ წერტილებში;

5. დამატებით წარმოდგენილი იქნეს შეთნხმნებული ტრანსპორტის მოძრაობის სქემა;

6. არ არის წარმოდგენილი ხე-ნარგავების ხარისხობრივი შეფასება;

7. წარმოდგენილი იქნეს განახლებული ისტორიულ-არქიტექტურული-ანალიტიკური ინფორმაცია (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა) ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.